განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 16 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 3 ივნისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი (06)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დგებუაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კილასონია შპს - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსებისა და პრაქტიკული კომპონენტის სახით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N133; 25 ივნისი). პროგრამაზე ირიცხება 85 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 16 მაისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ჩაიარა საქმიან, მშვიდ და თავისუფალ გარემოში, წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან. დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - ბიბლიოთეკა, სამაგისტრო პროგრამაში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული პორტალი და სამეცნიერო/აკადემიური ბაზები. უნივერსიტეტის პერსონალი მთელი დღის განმავლობაში მზად იყო თანამშრომლობისა და შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც კონტექსტუალურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის რესურსებს, სტრატეგიულ გეგმასა და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობა მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს. ჩატარდა და, ახლო პერიოდში, იგეგმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და პროგრამის მიზნებს.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრულია სამართლის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია, სპეციფიკა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამით განსაზღვრულია სტუდენტების მიღების პოლიტიკა. პროგრამის შინაარსი პროპორციულია მაგისტრატურის სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, რომლებიც თანმიმდევრულად და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისადაა შემუშავებული. პროგრამის მიზნების მიღწევა ხდება შესაბამისი მეთოდებით, სილაბუსებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, ხელმისაწვდომი რესურსებით, გამოყოფილი დროითა და სტუდენტთა რაოდენობით შესაძლებელია დასახული მიზნების მიღწევა. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია. თითოეული კურსის მიზნები და სწავლის შედეგები ფასდება კონკრეტული კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. სტუდენტებს კონსულტაციას

უწევს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც მათ ეხმარება სასწავლო კურსების შერჩევაში, მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში, სტაჟირებისა და პრაქტიკის სწორ შერჩევაში. უნივერსიტეტში მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. რესურსები კატალოგიზებულია, შესაძლებელია უცხოენოვანი იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობა. სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას. ხარისხის შეფასების სისტემა მოქნილია - არსებული რესურსები ეფექტიანად გამოიყენება. პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამა ფასდება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის მიზნების შესაბამისად, სასურველია: უნივერსიტეტმა პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად მკაფიოდ გამოკვეთოს ძლიერი მხარე; გაგრძელდეს პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება ყოველწლიურად; გაიზარდოს სწავლის შედეგების გასაზომად მონიტორინგის სიხშირე; ამაღლდეს სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა; უნივერსიტეტმა გამოავლინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ მიმართულებით მათი მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული; საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ უცხოენოვანი საგნების არჩევის შესაძლებლობა; პრაქტიკული კომპონენტი უფრო მეტად გაძლიერდეს. კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებს ჰქონდეთ მაქსიმალურად სპეციალიზირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; მემორანდუმების ფორმატის უფრო ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკული კომპონენტი რომ გაძლიერდეს, დამსაქმებლის ინტერესი გაიზარდოს. თუ სტუდენტებს ექნებათ მაქსიმალურად სპეციალიზირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, შრომის ბაზარზე ისინი უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იქნებიან. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია, უნივერსიტეტმა რომ იცოდეს ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნა; პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა და ე.წ. კვლევითი სემესტრები სტუდენტების ჩართულობით; სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით; სტუდენტებს პირადი ელექტრონული მონაცემების მითითებით ნებისმიერი ადგილიდან ჰქონდეთ წვდომა უცხოენოვან სამეცნიერო ბაზებზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2014 წლის აკრედიტაციის შემდეგ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაინერგა უნივერსიტეტის საქმიანობისა და პროგრამის შეფასების სისტემა, გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით შეიქმნა სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, გაიზარდა გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა და დაიხვეწა სასწავლო კურსები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც კონტექსტუალურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ასახავს რა წვლილი შეაქვს მას საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია სამართლის სამაგისტრო პროგრამაში. კერძოდ, პროგრამამ მაგისტრანტს უნდა: (1) შესძინოს სამართლის ფილოსოფიის არგუმენტაციის ჭრილში ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; (2) გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; (3) გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი; (4) გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი; (5) გამოუმუშავოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის რესურსებს, სტრატეგიულ გეგმასა და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს - სამართლის სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მისასალმებელია, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მკვლევარების მიერ განხორციელებული შრომის

ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვა. შრომის ბაზრის ანალიზისათვის მკვლევარებმა შეისწავლეს Jobs.ge-ზე, HR.ge-ზე და HR.gov.ge-ზე ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოქვეყნებული ვაკანსიები და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შრომის ბაზრის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა რომელ პოზიციაზეა მეტი მოთხოვნა და გადამუშავდა არსებული სტატისტიკური მონაცემები.
მისასალმებელია, პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. ინტერნატიონალიზაციის განვლილი გზა, მიზნები და ამოცანები მოცემულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სახელმძღვანელოში, განხორციელების სტრატეგიისა და წარმატების ინდიკატორების სახით. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს ჰყავს ოცზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი (მსოფლიოს თოთხმეტი ქვეყნიდან) და არის რვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. ჰყავს ას ოთხმოცზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი. საერთაშორისო თანამშრომლობა მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს. მისასალმებელია, ჩატარდა და, ახლო პერიოდში, იგეგმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; [http://eeu.edu.ge/განვითარების-გეგმა/-მისია/];
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სახელმძღვანელო;
- გარე შემფასებლების დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის მიზნების შესაბამისად, სასურველია, უნივერსიტეტმა, პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად მკაფიოდ გამოკვეთოს ძლიერი მხარე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს: კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, ჩამოყალიბებას, ანალიზსა და სინთეზს; სამართლებრივი დასკვნების ფორმულირებას; აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციას; სამართლის სფეროში მონაცემების ანალიზითა და ინტერპრეტირებით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას; იურიდიული პროფესიის ეთიკური, ზნეობრივი და მორალური

ასპექტების ანალიზს. სწავლის შედეგი შეესაბამება სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და პროგრამის მიზნებს. სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე პერსონალის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, უნივერსიტეტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა კურსდამთავრებულთა შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მისასალმებელია, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე კურსდამთავრებული დასაქმდა.

პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება წარმოდგენილი სასწავლო კურსები. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამაში, კურსდამთავრებულების და დამსაქმებულების გამოკითხვის შედეგებში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევში და ინტერვიუს შედეგებში. აღნიშნული ინდიკატორები/მტკიცებულებები აღწერს კურუკულუმის რუკის შედგენის მეთოდებსა და შესაბამის მაგალითებს, განსაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითებს. გზამკვლევში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები და მასში ჩართული პირები. ასევე, სწავლის შედეგების გასაზომად და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გასაანალიზებლად, ვიზიტისას შემოწმდა სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომები, საიდანაც გამოიკვეთა მათი პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობა. ამასთან მიმართებით, აღსანიშნავია, პროგრამის ისეთი ძლიერი მხარეები, როგორებიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდა პირდაპირი (გამოცდა, ესე, სიმულაცია) და არაპირდაპირი მეთოდებით (კურსდამთავრებულებისა და მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგები, სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება). მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის პროგრამას, რომლის შედეგებსაც აანალიზებს აკადემიური წერის სტანდარტების შესაბამისად. სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი პროგრამის სწავლის შედეგებზე იღებენ უკუკავშირს, თუმცა, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი მიუთითებს ამ მიმართულებით მუშობის გაგრძელებასა და შედეგების გაუმჯობესებაზე.

უნივერსიტეტი თვითშეფასების ანგარიშში გამოყოფს გასაუმჯობესებელ მხარეებს, როგორებიცაა: პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება ყოველწლიურად; სწავლის შედეგების გასაზომად მონიტორინგის სიხშირის გაზრდა; სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების

ჩართულობის ამაღლება. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი ეფექტიანად მუშაობს ამ საკითხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- ვებგვერდი;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სტუდენტთა ნაშრომები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, გაგრძელდეს პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება ყოველწლიურად, გაიზარდოს სწავლის შედეგების გასაზომად მონიტორინგის სიხშირე, ამაღლდეს სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა გამოავლინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ მიმართულებით მათი მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია - პროგრამის სპეციფიკა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. მისასალმებელია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (დამოუკიდებლად შერჩეული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა, შინაარსი და პროცედურა) და დაკავშირებული საკითხები ხელმისაწვდომი და განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე (http://eeu.edu.ge/portfolio/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-law/; http://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2019/05/katalogi-2019.pdf). შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://eeu.edu.ge). პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და დაკავშირებული საკითხების ხელმისაწვდომობას ადასტურებს სტუდენტთა გამოკითხვისა (წარმოდგენილი დიაგრამების სახით) და ინტერვიუს შედეგები. აგრეთვე, მისასალმებელია, რომ პროგრამით განსაზღვრულია მაგისტრანტების მიღების პოლიტიკა (აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები) - თუ როგორი ცოდნის,

უნარებისა და გამოცდილების მქონე მაგისტრანტების მიღება სურს უნივერსიტეტს, განსაზღვრულია აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საჯაროობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი იყენებს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებას, კერძოდ, ზემოაღნიშნული ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გარდა, სოციალურ ქსელს, სატელევიზიო / რადიო გადაცემებს, საინფორმაციო / საორიენტაციო შეხვედრებს და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❯ საგანმანათლებლო პროგრამა; ❯ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ❯ ვებგვერდი; ❯ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრულია სამართლის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც იგი ეყრდნობა პროგრამის (შინაარსის) განხორციელებისას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებობს სამართლის მიმართულების პროგრამების განვითარების ჯგუფი, რომელიც პერიოდულად მართავს სამუშაო ფორმატის შეხვედრებს, გამოთქმული მოსაზრებების გასაანალიზებლად. აგრეთვე, სამაგისტრო პროგრამის მართვის პოლიტიკაში, პროგრამის განახლებასა და განვითარებაში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, ჩართული იყო ძლიერი აკადემიური და მოწვეული პერსონალი (რაც გამოიკვეთა, მათ შორის, ინტერვიუდან). რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მიღწევადი, რეალისტურია. სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მესამე ბრძანების საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. კრედიტების გადანაწილების აღნიშნული წესი დადასტურდა, მათ შორის, ინტერვიუებით. აგრეთვე, მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალი კომპონენტის არჩევითობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის

მესამე ბრძანების მე-3 მუხლით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის არასრული დატვირთვის შესაძლებლობას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (A), საჯარო სამართლის მოდულის (B), კერძო სამართლის მოდულის (C), სისხლის სამართლის მოდულის (D) და პრაქტიკული კომპონენტის (E) სახით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას. სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: (1) სამართლის ფილოსოფიის თანამედროვე მიმდინარეობების, ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ძირითადი სამართლის სკოლების, პოლიტიკური იდეოლოგიებისა და სამართლის იდეების, სამართლიანობის სტანდარტის, სამართლიანობის მასშტაბებისა და სამართლიანობის ძირითადი სახეების, ასევე სასამართლო პრაქტიკაზე სამართლის ფილოსოფიის თანამედროვე მიმდინარეობების გავლენის შესახებ; (2) ევროკავშირის სამართლის წყაროების, ასოცირების შეთანხმების ძირითადი დებულებების, ევროპასთან ასოცირების პოლიტიკის კონცეფციური და სტრატეგიული საკითხების და სამართლებრივი აპროქსიმაციის შესახებ; (3) პროფესიული ეთიკის ძირითადი დებულებების, დისციპლინური წარმოების, საადვოკატო, სამოსამართლეო, საპროკურორო და სანოტარო ეთიკის მარეგულირებელი ნორმების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტებისა და მორალური ასპექტების შესახებ; (3) სამეცნიერო კვლევის, კვლევის მეთოდების, კვლევის დაგეგმვისა და საკვლევი თემატიკის განსაზღვრის, ნაშრომის ზოგადი სტრუქტურისა და მისი შემადგენელი ნაწილების, სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და დამუშავების, ციტირების ტექნიკის, ციტირების სტილის, სტილისტიკისა და კვლევის ენის, წყაროთა ანალიზისა და სამეცნიერო თარგმანის, ნაშრომის ტექნიკური სტანდარტისა და ფორმალური მოთხოვნების, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, პლაგიატიზმის აკრძალვისა და აკადემიური ეთიკის შესახებ.

საჯარო სამართლის მოდულის (48 ECTS) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის

არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 6 კრედიტი შეიძლება დააგროვოს კერძო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

კერძო სამართლის მოდულის (48 ECTS) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 6 კრედიტი შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სისხლის სამართლის მოდულის (48 ECTS) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 6 კრედიტი შეიძლება დააგროვოს.

პრაქტიკული კომპონენტის (18 ECTS) მიზანია სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემა. იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და, საბოლოოდ, მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ჩვევების ჩამოყალიბებას.

სპეციალობით მომუშავე სტუდენტმა იურიდიული კლინიკის ნაცვლად 18 კრედიტი უნდა დააგროვოს პრაქტიკული სამართლის კლინიკისა (12 კრედიტი) და საჯარო სამართლის მოდულის, კერძო სამართლის მოდულის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების (6 კრედიტი) ხარჯზე.

პრაქტიკული სამართლის კლინიკა საშუალებას აძლევს მაგისტრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება. პრაქტიკული სამართალი მიზნად ისახავს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. პრაქტიკული სამართლის კლინიკაში საქმიანობა გულისხმობს სამართალის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტების მიერ თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ძირითადი სამართლებრივი საკითხების ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით სწავლებას. პრაქტიკული სამართლის კლინიკა ასევე ითვალისწინებს სალექციო კურსებს და ჯგუფურ მუშაობებს.

სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში (30 ECTS). სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც დაგროვილი აქვს მინიმუმ 42 კრედიტი.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევით კომპონენტები თანმიმდევრულადაა გადანაწილებული. სასწავლო კომპონენტი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისადაა შემუშავებული, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგალითად: სამართლის ფილოსოფია, შედარებითი კონსტიტუციონალიზმი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა, შედარებითი კერძო სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია შეიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. აღსანიშნავია, ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის, სტუდენტებისთვის სხვადასხვა არჩევითი საგნების შეთავაზება. მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი; ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია; თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართლი (თეორია და პრაქტიკა); ევროპული სისხლის სამართალი და ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია.

მისასალმებელია, რომ სამაგისტრო პროგრამა მუშაობს ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, გამოკვეთილია „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“ განვლილი გზის გაანალიზებითა და დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელების სტრატეგიით. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საერთაშორისო დონეზე; ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და გარემო; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისება; საერთაშორისო კვლევების განხორციელებისათვის სასურველი გარემო; კვალიფიციური ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მოზიდვა.

მათ შორის, ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა რომ სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო სასამართლოების დოქტრინისა და პრაქტიკის დამუშავების, გაანალიზების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური წერის სათანადო სწავლება, რაც

უზრუნველყოფს სამართლის სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.
საგანმანათლებლო პროგრამით, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ სწავლის შედეგები ფასდება. შეფასების მექანიზმები პრაქტიკულია. ამას ადასტურებს კურუკულუმის რუკის შედგენის მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპები და ფორმები, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითები. პროგრამის პერსონალს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები განსაზღვრული აქვს საგნის სილაბუსებში, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი მესამე ბრძანების მიზნებთან და უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებთან. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მექანიზმები პრაქტიკულია და პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
აღსანიშნავია, პროგრამის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს აქტუალური საკითხების კვლევის კომპონენტს. ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა კარგი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელი მათთვის და პრაქტიკისთვის აქტუალურ საკითხებს (თემების სახით) გამოსაკვლევად აწვდის უნივერსიტეტს, დროისა და რესურსის სათანადოდ გამოყენებისთვის.
საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი პროპორციულია მაგისტრატურის სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- ვებგვერდი;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სახელმძღვანელო;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ უცხოენოვანი საგნების არჩევის შესაძლებლობა.
სასურველია, პრაქტიკული კომპონენტი უფრო მეტად გაძლიერდეს. კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებს ჰქონდეთ მაქსიმალურად სპეციალიზირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით ხდება სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელთა ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს. სამაგისტრო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა სხვადასხვა კურსით.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა განსაზღვრულია შესაბამის კრედიტებში. მათი დაგეგმვისას და კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა შეესაბამება სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას და სწავლა-სწავლების მეთოდებს.

სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები). სავალდებულო მასალებში მითითებულია, მათ შორის, უცნოენოვანი ლიტერტურა - უცხო ენის ფლობა წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

აღსანიშნავია, სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოსაჩენად, უნივერსტიტეტმა ჩაატარა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (შესაბამისი დიაგრამები მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში). მისასალმებელია, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ადმინისტრაცია მუშაობენ გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სახელმძღვანელო;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი უფრო მეტად იყოს სპეციალიზირებული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, საგნების დუბლირების თავიდან აცილებისა და მაგისტრატურის საფეხურის მიზნებისთვის, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

სასურველია, მემორანდუმების ფორმატის უფრო ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკული კომპონენტი რომ გაძლიერდეს, დამსაქმებლის ინტერესი გაიზარდოს. თუ სტუდენტებს ექნებათ მაქსიმალურად სპეციალიზირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, შრომის ბაზარზე ისინი უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იქნებიან. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია, უნივერსიტეტმა რომ იცოდეს ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნა.

სასურველია, სასწავლო კურსი უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ უცხოენოვანი საგნების არჩევის შესაძლებლობა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით.

პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება წარმოდგენილი სასწავლო კურსები. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მიზნები და შედეგები იყოს მეტად დაკონკრეტებული, სტრუქტურირებული და დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან - სპეციალიზირებულად პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა უფრო მეტად უზრუნველყოფდეს უცხო ენაზე კომუნიკაციას. სასურველია, მათ შორის, თავად სასწავლო კურსებმა უფრო მეტად უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ სტუდენტი უფრო მეტად მოქნილი და პრაქტიკული უნარებით აღიჭურვოს, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

სასურველია, სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, რასაც, მათ შორის, უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ავითარებს პრაქტიკულ უნარებს, კერძოდ, 18 კრედიტის მოცულობით. ცალკეული სასწავლო კურსი, თეორიულ საკითხებთან ერთად, ორიენტირებულია სასამართლო პრაქტიკის შესწავლაზეც. მისასალმებელია, რომ ამ კომპონენტებს ახორციელებს ძლიერი აკადემიური პერსონალი (მათ შორის, პრაქტიკოსი იურისტები).

მისასალმებელია, უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემა, რომელიც პროპორციულად ახალისებს პერსონალის საქმიანობას. ინტერვიუს შედეგად, მათ შორის, დამსაქმებლებთან შეხვედრისას, გამოიკვეთა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკაში იმპელემენტაცია. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებიც არაა ფორმალური ხასიათის. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს

როლი ამ პროცესში - სასამართლო უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკასა და სტაჟირებას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, დამსაქმებელი ეფექტიანად თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აწვდის პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან საკითხთა ნუსხას საკვლევად (მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის). აღსანიშნავია, რომ ამ პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაცია ფასდება სტუდენტთა გამოკითხვებით. გამოვლინდა, რომ სტუდენტებს სურთ პრაქტიკული მეცადინეობების საათებისა და დავალებების გაზრდა. ინტერვიუს შედეგად, გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინსიტრაცია მუშაობს ამ მიმართულებით. უნივერსიტეტი, სტუდენტთა გამოკითხვის გარდა, იყენებს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს, რომლებსაც აანალიზებს. ამ შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; - სტუდენტური კონფერენციები; - სილაბუსები; - განხორციელებული პრაქტიკა; - შესაბამისი მემორანდუმები; - პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემა; - გამოკითხვის შედეგები; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, ამ მხრივ, სასურველია შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ამ პროცესში, სასურველია, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. ეს ფორმა სამაგისტრო პროგრამის კვლევით კომპონენტს უფრო მეტად ეფექტიანს გახდის, განსაკუთრებით, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ნაწილში. პერსონალი (მათ შორის, სტუდენტებთან ერთად)

სრულად იქნება კონცენტრირებული ახალი მიმართულებების კვლევაზე. ეს ფორმა ხელს შეუწყობს, სამომავლოდ, უფრო მეტად სპეციალიზირებული საგნების ჩამოყალიბებას. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით. სასურველია, გაფორმებული მემორანდუმების ეფექტიანობისთვის, უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან უფრო მეტად იმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით. კერძოდ, (1) დამოუკიდებლად, შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციით გადაამზადოს სტუდენტები და შესთავაზოს დამსაქმებელს, მოამზადოს პრაქტიკისთვის / სტაჟირებისთვის ან (2) თავად დამსაქმებლის მოთხოვნით გაატაროს დროული, თანმიმდევრული ღონისძიებები ვიწრო სპეციალიზაციის კომპონენტის უზრუნველსაყოფად (ეს, შესაძლოა, განხორციელდეს უკვე არსებული სასწავლო კურსის სწავლების პარალელურად). ეს მიდგომა უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან პრაქტიკას / სტაჟირებას. ამ დროს, სტუდენტი დაკავდება არა ვიწრო სპეციალიზაციის სწავლით, არამედ ნასწავლი ვიწრო სპეციალიზაციის იმპლემენტაციით. რა თქმა უნდა, ეს პროცესი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. მაგალითად, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტუდენტის საქმიანობა უფრო ეფექტიანი იქნება თუ პირველ ეტაპზე ან პარალელურად უნივერსიტეტი აღსრულების სამართლის ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით მოამზადებს სტუდენტს, ამ სახით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მიღწევა ხდება შესაბამისი მეთოდებით, სილაბუსებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, ხელმისაწვდომი რესურსებით, გამოყოფილი დროითა და სტუდენტთა რაოდენობით შესაძლებელია დასახული მიზნების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა შეიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესს. სწავლა-სწავლების მეთოდების ეფექტიანობის შესამოწმებლად ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა. დიაგრამების ანალიზით დგინდება, რომ სტუდენტთა უმეტესობის აზრით, სწავლება/სწავლის მეთოდები ადეკვატურია პროგრამის შედეგების მისაღწევად. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი სტუდენტთა გამოკითხვებს აანალიზებს და მუშაობს გამოვლენილი პრობლემების გამოსწორებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❯ სწავლება-სწავლის მეთოდები; ❯ ინდივიდუალური გეგმები; ❯ სილაბუსები; ❯ გამოკითხვის შედეგები; ❯ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო პროცესით ფასდება სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხი, რაც მუდმივი პროცესია - ხდება სტუდენტთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია. თითოეული კურსის მიზნები და სწავლის შედეგები ფასდება კონკრეტული კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი სათანადოდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული ECTS

სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მესამე ბრძანებით. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს. შეფასების სისტემა სწორადაა გაწერილია შესაბამის სილაბუსებში. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც აფასებს სტუდენტს შეფასების სხვადასხვა ხერხით (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი - ფასდება მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. აღსანიშნავია, სტუდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ შეფასების კრიტერიუმები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. მისასალმებელია, სწავლის შედეგების შეფასებისას პედაგოგები განუმარტავენ სტუდენტებს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაშვებულ შეცდომებს. უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის პროცედურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - შეფასების სისტემა; - შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; - სილაბუსები; - ელექტრონული პორტალი; - შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა; - ვებგვერდი; - გამოკითხვის შედეგები; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სტუდენტების შეფასების სისტემაში უფრო მეტად გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ელემენტების შეფასება, სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების პროპორციულად. სასურველია, მათ შორის, თავად სასწავლო კურსმა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართულობა და, ინდივიდუალურად, გაძლიერებულად გაკონტროლდეს, რომ სტუდენტი უფრო მეტად მოქნილი და პრაქტიკული უნარებით აღიჭურვოს, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ასეთ შედეგს განსაკუთრებით გააძლიერებს უცხოენოვანი კომპონენტების საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით უფრომ მეტად გაღრმავება.
რაც უფრო მეტად დაკონკრეტდება (ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით) სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის მიზნები და შედეგები, მით უფრო ეფექტიანი შეფასების სისტემა ექნება პროგრამას, დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებული უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. სასურველია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს არაერთი სტრუქტურული ერთეული. სტუდენტთა კონსულტირებისა და მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სპეციალური სტრუქტურული რგოლები და თანამშრომლები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტისაგან, ფაკულტეტის დეკანატისგან, კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის უფროსი მენეჯერისა და მენეჯერებისაგან.

აღსანიშნავია სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის როლი. აღნიშნული დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მთავარი რგოლია დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების საკითხში. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების მენეჯერი, სხვა ფუნქციების პარალელურად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტებისათვის აუილებელი ინფორმაციის მიწოდებაში.

სტუდენტთა კონსულტირების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა რგოლებიც. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ თანახმად, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული არიან იურიდიული ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლებიც.

უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. ფაკულტეტს ჰყავს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომლის შემადგელობაშიც შედიან სასწავლო პროცესის მართვის უფროსი მენეჯერები და მენეჯერები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ერთ-ერთი ფუნქციაა სტუდენტებთან და პერსონალთან კონსულტირება მთელი სემესტრის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს. რომ ამ თანამშრომელს აქვს ბევრი ფუნქცია. კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის სამუშაოს აღწერილობის თანახმად, ზემოაღნიშნულ თანამშრომელს ჯამურად 25 ფუნქცია აქვს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, სასურველია, იმუშავოს ამ თამაშმრომლის უფლებამოსილებების დაზუსტებაზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში

გამოიყენება პირადი და კორპორატიული ელ-ფოსტა (პრიორიტეტი მინიჭებული აქვს პირადს), სატელეფონო შეტყობინებები და ზარები, სოციალურ ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები, სპეციალური ცხელი ხაზი, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული სასაუბრო („ჩატი“) და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაგზავნოს განცხადება, ეკონტაქტოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციას და სხვ. უნივერსიტეტი გეგმავს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფას.

თვითშეფასების ანგარიშითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, იგეგმება სპეციალური მობილური აპლიკაციის შექმნაც. ასეთი აპლიკაციის შექმნის საჭიროება გამოიკვეთა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის პროცესშიც. კონკრეტულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის სისტემაში შესვლა მობილური ტელეფონიდან მოუხერხებელია. სპეციალური მობილური აპლიკაციის დახმარებით სტუდენტები უკეთ შეძლებენ საკონსულტაციო და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული სერვისების მიღებას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, პერსონალის წევრები ვალდებული არიან მისცენ სტუდენტს ხარისხიანი განათლება, უხელმძღვანელონ სტუდენტებს წერილობითი ნაშრომების მომზადების და დამუშავების პროცესში, გაუწიონ კონსულტაცია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებზე. ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, ვებგვერდზე მითითებულ სპეციალურად გამოყოფილ დროს. გარდა ამისა, პერსონალი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს უწევს კონსულტაციას ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

უნივერსიტეტის სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებით დგინდება, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ ლექტორებთან ინდივიდუალური კონსულტაციის გავლის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ისინი ყოველსემესტრულად უზრუნველყოფენ საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაციის გამოკვრას

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.
პერსონალის საკონსულტაციო დროის შესახებ მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებშიც, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგისაგან საჭირო კონსულტაცია სტუდენტს შეუძლია მიიღოს ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად უნივერსიტეტის საიტიდან - http://www.eeu.edu.ge. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდის „მთავარი გვერდის“ ბოლოს. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა ამ ინფორმაციის ხილვა, რამეთუ აუცილებელია სპეციალური პაროლის მითითება. უმჯობესია საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია ვირტუალურ სივრცეში უფრო ხელმისწავდომად განთავსდეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ინფორმაციის ხილვა დასჭირდეს არამხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტს, არამედ სხვა პირსაც, მაგალითად პოტენციურ სტუდენტსაც.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები, სატალეფონო და პირადი კონსულტაციები. თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში არსებული სპეციალური ელექტრონული პორტალი, კერძოდ, სტუდენტის პირადი გვერდი არ იძლევა საშუალებას განორციელდეს კომუნიკაცია საგნის პედაგოგებთან. სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემის განახლება და ზემოაღნიშნული ფუნქციით აღჭურვა და ზემოთ ნახსენები სპეციალური აპლიკაციის შექმნა გააუმჯობესებს სტუდენტთა კონსულტაციის პროცესს.
აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხში. სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. იგივე დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება-განვითარებასა და კარიერულ ხელშეწყობას. ეს სტრუქტურული რგოლი, ასევე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პრინციპის განხორციელებას. სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უწყვეტი განათლების სამსახური რეალურად, ეფექტურად ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივესიტეტში ასევე არის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. ამ სამსახურის მკვლევარების მიღწევებიდან აღსანიშნავია შრომის ბაზრის ანალიზი დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, პრობლემები და ძირითადი გამოწვევები.
ინტერვიურების დროს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა და

კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ დაკავებულობის გამო ვერ ახერხებენ უნივერსიტეტის მხრიდან შემოთავაზებულ ტრეინგებში მონაწილეობის მიღებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციასთან პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ სსიპ - საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელი.

სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ პრაქტიკის მიმართულებით. ბიურო სტუდენტებს აძლევს აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას. მისასალმებელია, რომ პრაქტიკაზე წასული სამი სტუდენტიდან ორი უკვე დასაქმდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამინისტროც აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პრაქტიკის მიმართულებით. სამინისტრომ უნივერსიტეტიდან მიიღო სამი სტუდენტი, საიდანაც ერთი პრაქტიკას გადის იურიდიულ მიმართულებით, ხოლო ორი - საჯარო მმართველობის კუთხით. სამინისტროს უნივერსიტეტის სტუდენტი ჯერ არ დაუსაქმებია.

რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ისიც აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან. სასამართლო რთავს უნივერსიტეტის სტუდენტებს პრაქტიკისა და სტაჟირების პროექტებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივრსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო

კურსების სილაბუსები; - შრომის ბაზრის მიმოხილვის დოკუმენტი; - მემორანდუმები; - ინტერვიუს შედეგები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი, განახლების შემდგომ, აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან - სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა - ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად - უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას. უნივერსიტეტის განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით, უკვე მიმდინარეობს მუშაობა, კერძოდ, მუშავდება ახალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა. სასურველია, სწორედ, ეს ახალი ელექტრონული სისტემა აღიჭურვოს სასწავლო კურსის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის ფუნქციითაც. სასურველია, პერსონალის სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია ვირტუალურ სივრცეში უფრო ხელმისწავდომად განთავსდეს. სასურველია, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, გადახედოს სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით არსებულ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ფუნქციებს და იმუშავოს ამ თანაშმრომლის უფლებამოსილებების დაზუსტებაზე, რათა შეუფერხებლად, ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლები პროფესიული პრაქტიკით, აკადემიური ნაშრომებით, სამეცნიერო აქტივობით და სხვ. აკადემიური პერსონალი უხვადაა დაკომპლექტებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით, რაც მისასალმებელია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხშირად ხელმძღვანელობს სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში. უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მოქმედებს „სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი“, რომლითაც დარეგულირებულია სამაგისტრო ნაშორმის შერჩევის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის, შესრულებისა და დაცვის წესები. მაგისტრანტისათვის ხელმძღვანელის რეგისტრაცია და შერჩევა ხორციელდება, ზემოაღნიშნული „წესის“ მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სამართლის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტში მაგისტრანტს შეიძლება ხელმძღვანელობდეს არამხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი, არამედ მოწვეული პირიც. დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიიდან დასტურდება, რომ ზოგიერთ მაგისტრანტს ჰყავდა მოწვეული ხელმძღვანელი.

ამავე დოკუმენტით დასტურდება, რომ მაგისტრანტებს ზოგიერთ შემთხვევაში ჰყავდა ორი ხელმძღვანელი.

უნივერსიტეტში მოქმედი „სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის“ თანახმად, მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობების არსებობისას წარმოებს არაუგვიანეს სწავლების მეოთხე სემესტრის დაწყებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მაგისტრანტთა ინტერესს და ეხმარებიან, როგორც სამაგისტრო თემის შერჩევაში ისე მის შესრულებაში.

უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიით დადსტურდა, რომ მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ სათანადო კომპეტენციის კადრები. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება ადექვატურია და შესაფერისია მაგისტრანტის მიერ საკვლევ თემასთან.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი, სასურველია, უფრო მეტად გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მაქსიმალურად შეძლოს სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა არამხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვაში, ასევე სხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღნიშნულ გარემოებას დროულად პასუხობს უნივერსიტეტში მოქმედი „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა“. აღნიშნული დოკუმენტი მოიაზრებს სხვადასხვა აქტივობის დატვირთვის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და ოდენობას უნივერსიტეტის მხრიდან. აღნიშნული ქმედითი მექანიზმი იქნება უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით გასააქტიურებლად.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს. გამოირკვა, რომ დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი პასუხობს თანამედროვე აკადემიურ მოთხოვნებს. კვლევები შესრულებულია აქტუალურ თემებზე, დაცულია მითითების სტანდარტი და აკადემიური წერის სხვა წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა“;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით;
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, მაგისტრანტთა ხელმძღვანელობისთვის, საჭიროებისამებრ, უფრო მეტი ინტენსივობით, მათ შორის, აკადემიურ პერსონალთან ერთად, დამატებით, განისაზღვროს კონკრეტული კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტები. მხოლოდ მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის საკმარისად. აუცილებელია, თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოდეს მაგისტრანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მისასალმებელია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, ერთი ასისტენტი და 9 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 29. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 85 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის დაახლოებით 1/3 რაც მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება, მათ შორის, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემითა და ინტერვიუების შედეგებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი, სასურველია, უფრო მეტად გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მაქსიმალურად შეძლოს

სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა არამხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვაში, ასევე სხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღნიშნულ გარემოებას დროულად პასუხობს უნივერსიტეტში მოქმედი „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა“. აღნიშნული დოკუმენტი მოიაზრებს სხვადასხვა აქტივობის დატვირთვის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და ოდენობას უნივერსიტეტის მხრიდან. აღნიშნული ქმედითი მექანიზმი იქნება უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით გასააქტიურებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; - „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა“; - საკონკურსო მასალები; - გამოკითხვის შედეგები; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, რადგან პროფესორი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის კვლევას, ან არის რეცენზენტი და აფასებს სამაგისტრო ნაშრომს. ამ მხრივ, სასურველია შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. უნივერსიტეტი ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, პლაგიატთან დაკავშირებით. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორების მონაწილეობას სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში.

მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება: კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები, საჯარო ლექციები, ტრენინგები, რომლებიც ემსახურება პროფესიული ან/და სწავლების უნარის განვითარებას.

მისასალმებელია უნივერსიტეტის მიერ კვლევითი აქტივობების დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის პერსონალს აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, იკვლიონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, მათ შორის, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტში მოქმედი „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის განვითარების მიზნით-ღონისძიებების ჩამონათალი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, რადგან პროფესორი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის კვლევას, ან არის რეცენზენტი და აფასებს სამაგისტრო ნაშრომს. იგი უნდა იყენებდეს სწავლების განახლებულ მეთოდებს. ამ მხრივ, სასურველია

შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა.

ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად. უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას, რომელთა საშუალებითაც მაგისტრანტები და დოქტორანტები შეძლებენ მასალების მოძიებას, მათ შორის, უცხოენოვან ლიტერატურაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, ბიბლიოთეკის უფრო მეტად გაფართოება, რომ პროპორციულად აკმაყოფილებდეს პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს. ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა სტუდენტებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. პირადი მონაცემების მითითების შემთხვევაში უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს არ აქვთ ბაზებზე წვდომა. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, პირადი ელექტრონული მონაცემების მითითების შედეგად, ნებისმიერი ადგილიდან ჰქონდეთ წვდომა ასეთ წყაროებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის ბიუჯეტი; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო

პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების

განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას. ხარისხის შეფასების სისტემა მოქნილია - არსებული რესურსები ეფექტიანად გამოიყენება. პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია რეგულაციები. აღსანიშნავია, შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემები ანალიზდება გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების სახით. უნივერსიტეტი მუშაობს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. მისასალმებელია, საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით შეიქმნა ფაკულტეტზე სამართლის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგროც პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებლები, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ამ ჯგუფის ფარგლებში იმართება სამუშაო შეხვედრები. აკრედიტაციის ჯგუფმა ინტერვიუს დროს გამოკითხა მკვლევარები, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს უნივერსიტეტში სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციების გაწევას აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პროგრამის სილაბუსების ტექნიკური შეფასების და განახლების პროცესში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ, ეროვნული, საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზებისა და მათი იმპლემენტაციისათვის არსებული გარემოსა და რესურსების შეფასების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობისათვის, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; - შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;

- პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ფასდება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროგრამა შეაფასა დასავლეთ ლონდონის ბიზნესისა, მართვისა და მეცნიერების კოლეჯის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სამართლის დარგში მრავალწლიანი სამეცნიერო და საექსპერტო გამოცდილების ქართველმა სპეციალისტმა. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტმა გაანალიზა მათი რეკომენდაციები და პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატა - ,,შედარებითი შრომის სამართალი". მისასალმებელია, მომავალში იგეგმება ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორებიცაა: ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი; სამედიცინო სამართალი და ეთიკა. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მიდლსექსის უნივერისტეტთან (ლონდონი) ვალიდაციის პროცესშია, რაც მოიცავს მიდლსექსის უნივერსიტეტთან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებას სხვადასხვა მიმართულებით. 2014 წლის აკრედიტაციის შემდეგ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაინერგა უნივერსიტეტის საქმიანობისა და პროგრამის შეფასების სისტემა, გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით შეიქმნა სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, გაიზარდა გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა, დაიხვეწა სამართლის ფილოსოფიისა და აკადემიური წერის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები.

მისასალმებელია, რომ სამაგისტრო პროგრამის მართვის პოლიტიკა ღიაა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესზეა დამოკიდებული - მასში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე. ავტონომიურად გამოკითხულია სტუდენტები და კურსდამთავრებულები (რაც გამოიკვეთა, მათ შორის, ინტერვიუებიდან), ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის მისაღებად, გამოკვლეულ იქნა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, მხედველობაში იქნა მიღებული პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები და გაანალიზდა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;

) ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რომ უფრო მეტი პერიოდულობით ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა

დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და, განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები გადაეცემა წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც, საჭიროებისამებრ, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. აღსანიშნავია რომ სამაგისტრო პროგრამის შინაარსის განვითარების მიზნით განხორციელდა ხარისხის გარე შეფასება. იგი, სათანადო დოკუმენტაციით, გადაეგზავნა ქართველ და უცხოელ დარგის სპეციალისტებს. მისასალმებელია, უნივერსიტეტი აანალიზებს ამ ფორმით მიღებულ შეფასებებს (წარმოდგენილი დიაგრამის სახით), მუშაობს გაწერილ რეკომენდაციებზე. ამ მიზნით, უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლებიც შემდგომ ანალიზდება პროგრამის შედეგების სრულყოფის, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; - სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; - ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; - პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; - თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და

ცვლილებები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტი თვითშეფასების ანგარიშში გამოყოფს გასაუმჯობესებელ მხარეებს, როგორებიცაა: პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება ყოველწლიურად; სწავლის შედეგების გასაზომად მონიტორინგის სიხშირის გაზრდა; სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ამაღლება. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი ეფექტიანად მუშაობს ამ საკითხებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გიორგი დგებუაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო კილასონია

ილია წიკლაური